ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით სიხარულიძის 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

მე, დავით სიხარულიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოვხვდი სოფ ნატანების მაჟორიტარული ოლქიდან, ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“-ს წევრი.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ინტენსიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს სხდომებში, გახლავართ „ სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის“ კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში აქტიური მონაწილეობა მივიღე აღნიშნული კომისიის მუშაობაში

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე 5-ჯერ ჩავატარე შეხვედრა ამომრჩეველთან, ამ შეხვედრებს ჯამში დაესწრო 60 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა

სოფლის განათებას,

გაზიფიცირებას,

სასმელი წყლის მოწესრიგებას

სანიაღვრე არხების გაწმენდას,

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის ზარალის ანაზღაურებას.

საბავშვო ბაღის გარემონტებას

კლუბის სახურავის გამოცვლას

მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთობლივი მუშაობით მიმდინარეობს სანიაღვრე არხების გაწმენდა. შერემონტდა საბავშვო ბაღის ერთი ფლიგელი მიმდინარეობს მუშაობა ბაღის სრული გარემონტებისათვის. სოფლის კლუბს მთლიანად გამოეცვალა სახურავი მინდა მოგახსენოთ, რომ სოფ. ნატანების გაზიფიცირებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს შიგა ქსელების დაპროექტება და იმედს ვიტოვებთ, რომ მალე ნატანებში იქნება ბუნებრივი გაზი.

მე ჩემი მხრიდან არ დავიშურებ ძალისხმევას გავაკეთო ყველაფერი ჩემი სოფლის მცხოვრებთათვის